



PRIVATE MEDIATION AS A MEANS OF ACHIEVING PUBLIC GOALS

Ana Gurieli

Doctor of law, Assistant Professor, Caucasus International University, Lawyer, Georgia

ARTICLE INFO

Article History:

Received 10.06.2024
Accepted 24 .06.2024
Published 30.09.2024

Keywords:

Dispute,
Resolution,
Advantage

ABSTRACT

The development and strengthening of private mediation significantly determine the possibilities of overcoming the challenges in the process of the institutionalization of mediation. Establishes an effective system of dispute resolution at the state level. The legal or practical regulation of the abovementioned should be considered a prerequisite for implementing the interests of the subjects of law and forming legal awareness.

In addition, the perfect functioning of the justice system, which should ensure the implementation of the legal interests of the subjects of law, is an expression of public and private interests. The well-being and satisfaction of the civil turnover participants are significantly determined by the existence of flexible dispute resolution systems and mechanisms, the correct implementation of which creates guarantees for the stability of civil turnover. In addition, it's in the public interest that the chain of the means of dispute resolution should be flexible and diverse and allow the interested parties to choose an acceptable method in each case. Regardless of its importance, providing fast and affordable forms of dispute resolution remains a challenge. In addition, it's important to strengthen cooperation between the public and private sectors in this process, which will be considered an innovation in Georgia. Accordingly, following legislative changes, it is important to raise public awareness, improve legal culture, and strengthen the court's role in implementing state policy regarding dispute resolution.

INTRODUCTION

Conflicts in societies are inevitable. In individual cases, the conflict can manifest itself in different forms: it can mean an interstate war and a family or work dispute.¹ Circumstances arising within the interrelationship may lead to the impossibility of independently resolving the dispute. Thus, flexible and many-sided legal mechanisms for resolving disputes throughout the state significantly determine the stability of civil turnover. In addition, it should be considered a prerequisite for realising the interests of the subjects of law. Mediation is considered important in this direction, as it occupies a prominent place in the justice chain and manifests in different forms. However, in any case, the fundamental ethical principles of mediation are essential for understanding the purpose of any form of mediation, and these principles also directly determine the procedural side or content of any form of mediation.

Accordingly, the issues related to the institution of mediation in Georgia are discussed within the paper's framework. In particular, for the purposes of the paper, attention will be paid to one of its forms – private mediation, because the institutionalization of judicial mediation is currently more active. After the fundamental legislative changes, a number of judicial mediation programs have been implemented that can not be said about private mediation. However, it is a fact that the degree of success of the functioning of private mediation significantly shapes public opinion towards the institution of the mediation in total. The subject is also actual, as the positive role of mediation, which also includes the implementation of the fundamental principles of mediation, is visible in the case of private mediation, and a number of states, it is private mediation that is considered to be the most acceptable form in the process of solving various categories of disputes.

Therefore, the development and strengthening of private mediation in Georgia is considered inevitable, and in this process, the court's role should be considered important. So, judicial mediation should ensure the strengthening process of private mediation, its establishment in the le-

gal culture and establishment in the society, as well as the presence of the mediation component in the judicial system – strengthens the court. As a methodological basis of the paper, general scientific-historical and, special-normative and comparative legal research methods are used.

1. MEDIATION AS A MEANS OF DISPUTE RESOLUTION AND ITS POSSIBLE FORMS

John F. Kennedy mentioned, “Let us never negotiate out of fear. But let us never fear to negotiate.”² Human history shows that conflicts between people are inevitable. Therefore, one of the purposes of the legislation is to neutralize them to ensure public order and peace.³ Mediation probably originated 4000 years ago – from the Sumerian society. However, it continues to evolve as a means of dispute resolution, and it is necessary to offer ways to ensure its perfection process.⁴ Mediation has been regarded as the preferred method of conflict resolution in China for thousands of years. In the United States of America, society concluded that court proceedings could not fully satisfy the interests of the subjects of law, and mediation was recognized as the best form of dispute resolution. Consequently, in recent decades, mediation has been introduced in schools, the judicial system, government institutions, and the business/private sector.⁵

What is mediation? Mediation is defined as a process in which a neutral third party facilitates communication between the disputing parties in order to reach a mutually acceptable resolution of the dispute.⁶ According to another definition, mediation is a voluntary process in which, with the involvement of a neutral third party, the parties try to find ways to resolve the conflict and

1 Kovach, K. (2003). Mediation in a nutshell, Printed in the United States of America, p. 3.

2 Ozturk, N. (2015). Banka ve Ticaret Hukuku Dergisi, p. 203.

3 Sudini, L. (2016). Mediation in the Settlement of Business Disputes in Indonesia. *Journal of Law, Policy and Globalization*, p. 41.

4 Hesser, D., Craig C., Jarrell E. (2007). Team Mediation: An Interdisciplinary Model Balancing Mediation in the Matrix. *Pepperdine Dispute Resolution Law Journal*, p. 113.

5 Mosten, F. (2004). Institutionalization of mediation. *Family Court Review*, p. 292.

6 Richler, J. (2011). Court-Based Mediation in Canada. *Judges' Journal*, p. 14.

achieve satisfactory results.⁷ According to a recent definition by the Center for Dispute Resolution in the UK, mediation is a flexible process, conducted confidentially, in which a neutral person acts as a mediator to help the parties reach an agreement within their dispute, where the parties have authority to determine the content and terms of the agreement.⁸ In any case, the recognized definitions of mediation as an institution, are based on emphasizing its fundamental principles as an institution, the prohibition of third-party interference in the rights of the parties, and the principle of self-determination of the parties as the nature of the mediation itself is based on the substantive and procedural goal of self-determination and the free will of the parties.

The mediator does not influence the results of the mediation. The mediator looks for ways to bring the parties closer to each other and the problem.⁹ Therefore, the transformation of relations should be evaluated as a kind of goal of mediation.¹⁰ It is recognized that mediation affects public relations like a drop of liquid in a glass of water. It slowly and imperceptibly changes the entire environment. By teaching mediation to young people and legal entities, by offering transformative alternatives of dispute resolution, and by introducing non-violent methods, the existing environment is being changed.¹¹ Even recent scientific studies indicate that one person's positive attitude and aspirations can change the physical environment, emotions, and even the energy of those around them. Therefore, the mediator's thoughts, mind state and emotions have a direct influence on the results obtained.¹² One of the characteristics of mediation is that with its help it becomes possible to resolve disputes in the area of a particular society/institution. For example, mediation centres are estab-

lished in schools or other types of institutions, in which case mediators work voluntarily, or the municipality finances their remuneration.¹³

As for the possible forms of mediation, which can be considered as the type of services to be provided to citizens, according to the established approaches in international legal spaces, the following dominate: court and private mediation, also referred to as voluntary mediation. In addition, court mediation is of two types: 1. Court-annexed mediation,¹⁴ which is institutionally coordinated with the court, however, procedurally, it is independent of the court as an independent institution;¹⁵ 2. Judicial mediation¹⁶ is related to the court regarding building and staff. In case of this kind of mediation, the process may be conducted by a judge.¹⁷

Currently, a number of programs in Georgia have been developed with the purpose of developing the form of mediation – court-annexed mediation, that cannot be said about private mediation. However, as Albert Einstein said, it is possible to see an opportunity in any difficulty.¹⁸

Accordingly, following the legislative regulation of mediation and the implementation of court mediation programs, support for the development of private mediation is necessary for the development of mediation practice. The development of private mediation indicates the formation of mediation as a profession. In addition, since completing the unified justice chain is a public goal, it is necessary to introduce forms of cooperation between the court and the private sector – for ex-

7 Hyde L. M. Jr. (1984). Mediation. *Juvenile & Family Court Journal*, p. 57.
 8 Khouri, N. (2021). Mediation. *New Zealand Law Review*, p. 170.
 9 Picard, C. A., Melchin, K. R. (2007). Insight Mediation: A Learning-Centered Mediation Model In Practice. *Negotiation Journal*, p. 35.
 10 Riskin, L. L. (1997). Mediation Quandries. *Florida State University Law Review*, p. 1007.
 11 Fisher, J. (2000). Symbol in mediation. *Mediation Quarterly*, p. 87.
 12 Noll, D. E. (2007). Mediation. *Then Mediation Deeper Dimensions Dispute Resolution Magazine*, p. 37.

13 De Vries, T. (2012). The Legal Regulation of Mediation in Germany. Part I: Studies: Section 2: Private Judicial Law. *Acta Universitatis Lucian Blaga*, p. 209.
 14 Steffek, F. (2012). Mediation. In *The Max Planck Encyclopedia of European Private Law*, Vol. II, Basedow, J., Hopt, J. K., Zimmermann, R., Stier, A. Oxford University Press, Oxford, p. 163.
 15 Lindblom, P. H. (2017). *Progressive Procedure*. Iustus, p. 422.
 16 Brunet, E. (2002). Judicial mediation and signaling. *Nevada law journal*, p. 232.
 17 Steffek, F. (2013). Mediation und Güterichterverfahren. *Zeitschrift für Europäisches Privatrecht, (ZEuP) #3*. Verlag C. H. Beck, München, 538. Mentioned in: Khandashvili, I. (2018). Judicial and non-judicial forms of alternative dispute resolution on the example of mediation in Georgia. *Ivane Javakhishvili Tbilisi State University Faculty of Law*, p. 184.
 18 Prabakar, R., Kripa S. J. (2022). Mediation in Family Dispute. *Indian Journal of Law and Legal Research*, p.1.

ample, such would be the implementation of joint programs. In this way, cooperation with the court will strengthen private mediation – just as the institution of mediation strengthens the court.

In addition, private mediation has a special role in different aspects. For example, for the representatives of the business sector, the advantages are of special importance: the ability to control the result; the possibility of controlling procedural issues; the possibility of determining the participating parties; saving financial resources; the ability to save on expert costs; time-saving; ability to maintain full privacy.¹⁹ All of these advantages are also visible in the case of private mediation.

It should also be noted that the support for developing private mediation does not imply recognition of its superiority over other means of dispute resolution. Private mediation should be understood as one of the means of dispute resolution available in the state, which also has the support of the public sector, and the subjects of the law should have the opportunity to determine, in terms of free choice, the form of dispute resolution that is more acceptable for them.

Indeed – private mediation is not always the solution – for example, in cases where the parties are limited in terms of budget, it is less desirable to use private mediation. In these conditions, it is more reasonable, for example, to apply for court-annexed mediation.²⁰

2. COOPERATION BETWEEN THE COURT AND PRIVATE MEDIATION PROVIDERS AS A PREREQUISITE FOR THE DEVELOPMENT OF MEDIATION

It is recognized that PPP: Public-Private Partnership is one of the most flexible forms of implementation of public tasks. Its general definition implies the inclusion of private finance in the implementation of public tasks. In this model, the pairs of “public and private” entities imply cooperation.²¹ Accordingly, taking into account the fact

of the importance of the development of private mediation throughout the state, the question arises whether it would be appropriate to develop projects/such as mediation programs, on the basis of which the development of private mediation would be promoted on the basis of mutual cooperation between the judicial and private sectors, which would ultimately serve the common interests of both sectors.

Cooperation in this direction will be especially significant in building public trust and raising awareness towards private mediation. In this direction, examples of relevant successful practices should be considered: for example, in 1992, the Alberta Better Business Bureau established an independent, private legal entity, which gained a reputation as a Dispute Settlement Centre (BBB). The Center works with the Alberta Provincial Court and offers free alternative dispute resolution to disputing parties. The court proceedings are terminated if the parties agree to mediation, and it ends successfully. In case of impossibility of resolving the dispute, a standard consideration of the case within the framework of civil proceedings is being continued.²²

It has also to be mentioned that in 1987, a Florida court initiated a program in which the court referred disputes to private mediators paid by the parties themselves. As a result of the implementation of the program, the number of cases to be discussed by the courts was reduced, access to the court was improved, and the degree of satisfaction of the parties was significantly higher than in the case of court proceedings.²³

The indicated experience unequivocally confirms the effective practice of cooperation between the courts and legal entities of the private sector. This can be described as a hybrid form of court and private forms of mediation, which ensures the strengthening of the role of the court in the process of institutionalizing mediation, as well as the promotion of private mediation, the establishment of a culture of peaceful dispute resolution, and the

19 Lovenheim, P., Guerin, L. (2004). Mediate, don't litigate. Printed in the USA, pp. 300-301.

20 Maas, F. (2017). A Magistrate Judge's Plunge into the World of Private Mediation. *Litigation Journal*, p. 42.

21 Khubua, G., Kalichava, K. (2018). Handbook of administra-

tive science. Tbilisi, p. 161.

22 Gold, N. (1997). Prospects, Problem and Potential: An Assessment of Trends and Issues regarding Mediation in Canada. *Journal of Arbitration Studies*, p. 94.

23 Clarke, S., Gordon, H., Ellen, E. (1997). Public Sponsorship of Private Settling: Court-Ordered Civil Case Mediation. *Justice System Journal*, pp. 326-327.

transformation of the court into a space that offers citizens a variety of dispute resolution mechanisms.²⁴

CONCLUSION

As a result of the discussion carried out within the framework of the work, it is determined that following the process of institutionalization of mediation, its regulation at the legislative level and the implementation of one of its forms – court programs in Georgia, it is considered relevant to take concrete steps for the development of private mediation. Improving practice in the relevant direction. Obviously, the mentioned process should not be carried out by automatically recognizing the experience of any state, and each innovation should be introduced based on a cause-and-effect analysis. It is considered necessary to involve the judicial system in developing a judicial form of mediation and private mediation. For this purpose, establishing and implementing projects should occur based on the principle of mutual cooperation between the public and private sectors. The above conditions, which consider strengthening the role of private mediation, complete the unified chain of

dispute resolution operating throughout the state. In a broader sense, this means ensuring the Georgian reality and its compliance with the standards of leading democratic values-oriented legal systems – each subject should have the opportunity to decide as a result of a multifaceted and complete assessment of the issue under the conditions of free will – Within the discussion of a specific issue, which means of dispute resolution would be most suitable. The legal awareness of the subjects of the law should be based on the principle that the court proceedings should be considered not the main but one of the means of resolving the dispute. The abovementioned, which means a kind of cooperation between the public and private sectors, will contribute to the implementation of both public and private interests. On the one hand, the judicial system will be relieved; On the other hand, it will promote the development of private mediation. At the same time, an opportunity will be created to quickly and effectively satisfy the real interests of the subjects of the law.

In this way, as a result, two kinds of effects will be revealed. After all, mediation, in its essence, changes the court and determines the possibilities of overcoming a number of challenges in the judicial system. In addition, according to the recommendation, the judicial system will ensure the development of the forms of mediation in Georgia.

24 Gurieli, A. (2019). The scope of the judge's authority in relation to the conduct of the court mediation process. Tbilisi, p. 126.

BIBLIOGRAPHY:

Legal acts:

1. The Civil Procedure Code of Georgia <<https://www.matsne.gov.ge>> (In Georgian)
2. Law on Georgia on Mediation <<https://www.matsne.gov.ge>> (In Georgian)

Literature:

1. Gurieli, A. (2019). The scope of the judge's authority in relation to the conduct of the court mediation process. Tbilisi.
2. Khandashvili, I. (2018). Judicial and non-judicial forms of alternative dispute resolution on the example of mediation in Georgia. Ivane Javakhishvili Tbilisi State University Faculty of Law, Tbilisi.
3. Khubua, G., Kalichava, K. (2018). Handbook of administrative science. Tbilisi.
4. Brunet, E. (2002). Judicial mediation and signaling. Nevada law journal.
5. Clarke, S., Gordon, H., Ellen, E. (1997). Public Sponsorship of Private Settling: Court-Ordered Civil Case Mediation. Justice System Journal.

6. De Vries, T. (2012). The Legal Regulation of Mediation in Germany. Part I: Studies: Section 2: Private Judicial Law. Acta Universitatis Lucian Blaga.
7. Fisher, J. (2000). Symbol in mediation. *Mediation Quarterly*.
8. Gold, N. (1997). Prospects, Problem and Potential: An Assessment of Trends and Issues regarding Mediation in Canada. *Journal of Arbitration Studies*.
9. Hyde, L. M. Jr. (1984). Mediation. *Juvenile & Family Court Journal*.
10. Hesser, D., Craig, C., Jarrell, E. (2007). Team Mediation: An Interdisciplinary Model Balancing Mediation in the Matrix. *Pepperdine Dispute Resolution Law Journal*.
11. Khouri, N. (2021). Mediation. *New Zealand Law Review*.
12. Kovach, K. (2003). Mediation in a nutshell. Printed in the United States of America.
13. Lindblom, P. H. (2017). *Progressive Procedure*. Iustus.
14. Lovenheim, P., Guerin, L. (2004). Mediate, don't litigate. Printed in the USA.
15. Maas, F. (2017). A Magistrate Judge's Plunge into the World of Private Mediation. *Litigation Journal*.
16. Mosten, F. (2004). Institutionalization of mediation. *Family Court Review*.
17. Noll, D. E. (2007). Mediation. Then Mediation Deeper Dimensions *Dispute Resolution Magazine*.
18. Ozturk, N. (2015). Banka ve Ticaret Hukuku Dergisi.
19. Picard, Cheryl, A., Melchin, K. R. (2007). Insight Mediation: A Learning-Centered Mediation Model In Practice. *Negotiation Journal*.
20. Prabakar, R., Kripa, Somi J. (2022). Mediation in Family Dispute. *Indian Journal of Law and Legal Research*.
21. Richler, J. (2011). Court-Based Mediation in Canada. *Judges' Journal*.
22. Riskin, L. L. (1997). Mediation Quandries. *Florida State University Law Review*.
23. Sudini, L. (2016). Mediation in the Settlement of Business Disputes in Indonesia. *Journal of Law, Policy and Globalization*.
24. Steffek, F. (2012). Mediation. In *The Max Planck Encyclopedia of European Private Law*, Vol. II, Basedow, J., Hopt, J. K., Zimmermann, R., Stier, A. Oxford University Press, Oxford.
25. Steffek, F. (2013). Mediation und Güterichterverfahren. *Zeitschrift für Europäisches Privatrecht, (ZEuP) #3*. Verlag C. H. Beck, München.

კერძო მედიაცია, როგორც საჯარო მიზნების განხორციელების საშუალება

ანა გურიელი

სამართლის დოქტორი, ავღღირებული ასისტენტ პროფესორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ადვოკატი, საქართველო

აბსტრაქტი

სახელმწიფოს მასშტაბით კერძო მედიაციის განვითარება და მისი გაძლიერება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის პროცესში არსებული გამოწვევების დაძლევის შესაძლებლობებს; სახელმწიფოს მასშტაბით აყალიბებს დავის გადაწყვეტის საშუალებების ფუნქციონირების ეფექტიან სისტემას. აღნიშნულის სამართლებრივი თუ პრაქტიკული მოწესრიგება, სამართლის სუბიექტთა ინტერესების განხორციელებისა და სამართლებრივი ცნობიერების ჩამოყალიბების წინაპირობად უნდა შეფასდეს.

ამასთან, მოქმედი მართლმსაჯულების განმახორციელებელი სისტემის სრულყოფილი ფუნქციონირება, რამაც უნდა უზრუნველყოს სამართლის სუბიექტთა კერძოსამართლებრივი ინტერესების განხორციელება, საჯარო და კერძო ინტერესების გამოხატულებად მიიჩნევა. სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა კეთილდღეობა ხომ მნიშვნელოვნად განისაზღვრება დავის გადაწყვეტის მოქნილი სისტემის არსებობით და მექანიზმებით, რომელთა სწორი ფორმირება და ამოქმედება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და სამართლის სუბიექტთა ინტერესთა დაკმაყოფილების გარანტიებს ქმნის. ამასთან, საჯარო ინტერესია, რომ დავის გადაწყვეტის საშუალებების ერთიანი ჯაჭვი იყოს მოქნილი, მრავალფეროვანი და დაინტერესებულ პირებს აძლევდეს შესაძლებლობას ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, თავისუფალი არჩევანის პირობებში, თავად შეარჩიონ დავის გადაწყვეტის მისაღები მეთოდი. საკითხის მნიშვნელობის მიუხედავად, საქართველოში სამართლის სუბიექტთათვის დავის გადაწყვეტის სწრაფი და ხელმისაწვდომი ფორმების შეთავაზების უზრუნველყოფა გამოწვევად რჩება. ამასთან, მნიშვნელოვანია ამ პროცესში საჯარო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაძლიერება, რაც საქართველოს რეალობაში ერთგვარ სიახლედ განიხილება. შესაბამისად, ფუნდამენტური საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების კვალდაკვალ, მნიშვნელოვნად მიიჩნევა საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, სამართლებრივი კულტურის დახვეწა და სასამართლოს როლის გაძლიერება დავის გადაწყვეტის საშუალებებთან მიმართებით სახელმწიფო პოლიტიკის მეტად აქტიურ განხორციელებაში.

საკვანძო სიტყვები: დავა, გადაწყვეტა, უპირატესობა

შესავალი

საზოგადოებებში კონფლიქტების არსებობა გარდაუვალია. ინდივიდუალურ შემთხვევებში, კონფლიქტი შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა ფორმით: შესაძლებელია გულისხმობდეს როგორც სახელმწიფოთაშორის ომს, ასევე – ოჯახურ ან სამსახურეობრივ დავას.¹ სამართალურთიერთობის ფარგლებში აღმოცენებულმა გარემოებებმა შესაძლებელია დამოუკიდებლად დავის გადაწყვეტის შეუძლებლობა განაპირობოს. ამდენად, სახელმწიფოს მასშტაბით დავის გადაწყვეტის მოქნილი და მრავალმხრივ განვითარებული სამართლებრივი მექანიზმების არსებობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას. ამასთან, იგი სამართლის სუბიექტთა ინტერესების განხორციელების წინაპირობად უნდა შეფასდეს.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვნად მიიჩნევა მედიაციის მნიშვნელობა, რომელიც მართლმსაჯულების განმახორციელებელ ერთიან ჯაჭვში საყურადღებო ადგილს იკავებს და რომელიც სხვადასხვა ფორმებით ვლინდება. თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, მედიაციის ერთიანი ფუნდამენტური ეთიკური პრინციპები უმნიშვნელოვანესია მედიაციის ნებისმიერი ფორმის არსობრივი მიზნის გააზრებისთვის და აღნიშნული პრინციპები ასევე პირდაპირ განაპირობებს მედიაციის ნებისმიერი ფორმის პროცედურულ თუ შინაარსობრივ მხარეს.

შესაბამისად, ნაშრომის ფარგლებში განიხილება მედიაციის ინსტიტუტთან დაკავშირებული საკითხები საქართველოში. კერძოდ, ნაშრომის მიზნებისათვის ყურადღება დაეთმობა მისი ერთ-ერთი ფორმის – კერძო მედიაციის შესახებ მსჯელობას, რამეთუ მიმდინარე დროისათვის სასამართლო მედიაციის ინსტიტუციონალიზაცია მეტად აქტიურად მიმდინარეობს. ფუნდამენტური საკანონმდებლო ცვლილებების შემდგომ, ხორციელდება სასამართლო მედიაციის რიგი პროგრამებისა, რასაც ვერ ვიტყვით კერძო მედიაციასთან მიმართებით. თუმცა ფაქტია, რომ კერძო მედიაციის ფუნქციონირების წარმატების ხარისხი მნიშვნელოვნად აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს სრულად მედიაციის ინსტიტუტის მიმართ. საკითხს აქტუალობას სძენს ის

გარემოება, რომ მედიაციის დადებითი როლი, მათ შორის, მედიაციის ფუნდამენტური პრინციპების განხორციელების თვალსაზრისით, კერძო მედიაციის შემთხვევაშიც გამოკვეთილად ვლინდება და რიგ სახელმწიფოთა მასშტაბით, სწორედ კერძო მედიაციას მიიჩნევენ სხვადასხვა კატეგორიის გადაწყვეტის პროცესში მეტად მისაღებ ფორმად.

შესაბამისად, აუცილებლად მიიჩნევა კერძო მედიაციის განვითარება და გაძლიერება საქართველოში, ხოლო ამ პროცესში, მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს სასამართლოს როლი. ესე იგი, სასამართლო მედიაციამ, უნდა უზრუნველყოს კერძო მედიაციის გაძლიერება, მისი დამკვიდრება საზოგადოების სამართლებრივ კულტურასა და მართლშეგნებაში, ისევე როგორც თავის მხრივ მედიაციის კომპონენტის არსებობა სასამართლო სისტემაში – აძლიერებს სასამართლოს.

ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძვლად გამოყენებულია როგორც ზოგადმეცნიერული – ისტორიული, აგრეთვე, სპეციალური – ნორმატიული და შედარებითსამართლებრივი კვლევის მეთოდები.

1. მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის საშუალება და მისი გამოვლინების შესაძლო ფორმები

ჯონ კენედიმ განაცხადა: „არასოდეს შეგეშინდეთ მოლაპარაკების, თუმცა არასოდეს დათანხმდეთ მოლაპარაკებას შიშით.“² კაცობრიობის ისტორია გვიჩვენებს, რომ ადამიანებს შორის გარდაუვალია კონფლიქტების არსებობა. ამიტომაც, კანონმდებლობის არსებობის ერთ-ერთი მიზანია მათი განეიტრალება, იმისათვის რათა უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოებრივი წესრიგი და სიმშვიდე.³ მედიაცია სათავეს, სავარაუდოდ, 4000 წლის წინ იღებს – შუმერული საზოგადოებიდან. თუმცა ის, როგორც დავის გადაწყვეტის საშუალება, უწყვეტად აგრძელებს განვითარებას და აუცილებელია იმგვარი გზების შეთავაზება, რომე-

1 Kovach K., (2003). Mediation in a nutshell, Printed in the united states of America, p. 3.

2 Ozturk N., (2015). Banka ve Ticaret Hukuku Dergisi, p. 203.
3 Sudini L., (2016). Mediation in the Settlement of Business Disputes in Indonesia, Journal of Law, Policy and Globalization, p. 41.

ლიც უზრუნველყოფს სრულყოფის პროცესს.⁴ მედიაცია ჩინეთში ათასწლეულების განმავლობაში განიხილებოდა, როგორც კონფლიქტების გადაწყვეტის უპირატესი მეთოდი. ამერიკის შეერთებულ შტატებშიც საზოგადოება მივიდა დასკვნამდე, რომ სასამართლო საქმისწარმოება სრულად ვერ აკმაყოფილებდა სამართლის სუბიექტთა ინტერესებს და მედიაცია აღიარებულ იქნა, როგორც დავის გადაწყვეტის საუკეთესო ფორმა. შესაბამისად, ბოლო ათწლეულების განმავლობაში მედიაცია დაინერგა სკოლებში, სასამართლო სისტემაში, სახელმწიფო დაწესებულებებში, ბიზნეს / კერძო სექტორში.⁵

რა არის მედიაცია? მედიაცია განისაზღვრება როგორც პროცესი, რომლის ფარგლებშიც მესამე ნეიტრალური მხარე წარმართავს კომუნიკაციას მოდავე მხარეებს შორის იმისათვის, რათა მიღწეული იქნეს დავის ორმხრივად მისაღები გადაწყვეტა.⁶ სხვა განმარტების თანახმად, მედიაცია ნებაყოფლობითი პროცესია, რომლის ფარგლებშიც მესამე ნეიტრალური პირის ჩართულობით, მხარეები ცდილობენ მოიძიონ კონფლიქტის გადაწყვეტის და დამაკმაყოფილებელი შედეგების მიღების გზები.⁷ დიდ ბრიტანეთში მოქმედი დავის გადაწყვეტის საშუალებების ცენტრის ბოლოდროინდელი განმარტების შესაბამისად, მედიაცია მოქნილი პროცესია, რომელიც ტარდება კონფიდენციალურად და რომლის ფარგლებშიც ნეიტრალური პირი მედიატორის სახით ეხმარება მხარეებს, მიაღწიონ შეთანხმებას მათი დავის ფარგლებში, სადაც მხარეებს გააჩნიათ ერთპიროვნული უფლებამოსილება – განსაზღვრონ შეთანხმების შინაარსი და პირობები.⁸ ნებისმიერ შემთხვევაში, მედიაციის, როგორც ინსტიტუტის, აღიარებული განმარტებები ეფუძნება მისი, როგორც ინსტიტუტის, ფუნდამენტური პრინციპების ხაზგასმას, მესამე პირების მხრიდან მხარეთა უფლებამოსილე-

ბაში ჩარევის აკრძალვასა და თითოეული განსახილველი საკითხის მხარეთა მიერ თვითგანსაზღვრას. მედიაციის ბუნება ხომ მხარეთა თვითგამორკვევის შინაარსობრივი და პროცესუალური მიზნის გათვალისწინებით, მხარეთა ნების თავისფლებას ეფუძნება.

მედიატორი მედიაციის შედეგებზე გავლენას არ ახდენს. მედიატორი ეძებს გზებს, რათა მხარეების ხედვა ერთმანეთს დაუახლოვდეს არსებული პრობლემის მიმართ.⁹ შესაბამისად, ურთიერთობების ტრანსფორმაცია მედიაციის ერთგვარ მიზნად უნდა შეფასდეს.¹⁰ აღიარებულია, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე მედიაცია ისე მოქმედებს, როგორც სითხის წვეთი, ჭიქა წყალში. ის ნელა და შეუმჩნევლად ცვლის სრულ გარემოს. ახალგაზრდებისათვის თუ იურიდიული პირებისთვის მედიაციის სწავლებით, სასამართლოთათვის დავის გადაწყვეტის ტრანსფორმაციული ალტერნატივების შეთავაზებით, არაძალადობრივი მეთოდების დანერგვით, იცვლება არსებული გარემო.¹¹ ბოლოდროინდელი სამეცნიერო კვლევებიც კი მიუთითებს, რომ ერთი სუბიექტის პოზიტიურმა დამოკიდებულებამ და მისწრაფებებმა შესაძლებელია შეცვალოს ფიზიკური გარემო, ემოციები და გარშემომყოფთა ენერჯიაც კი. ამიტომ, მედიატორის ფიქრები, მდგომარეობა და ემოციები პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მიღებულ შედეგებზე.¹² მედიაციის ერთ-ერთი მახასიათებელია ისიც, რომ მისი დახმარებით შესაძლებელი ხდება დავების გადაწყვეტა კონკრეტული საზოგადოების/ინსტიტუტის არეალში. მაგალითად მედიაციის ცენტრები იქმნება სკოლებში ან სხვა ტიპის დაწესებულებებში, რა შემთხვევაშიც მედიატორებს მუშაობენ მოხალისეობრივ საწყისებზე ან მათი ანაზღაურება ფინანსდება მუნიციპალიტეტიდან.¹³

რაც შეეხება მედიაციის გამოვლინების შე-

4 Hesser D., Craig C., Jarrell E., (2007). Team Mediation: An Interdisciplinary Model Balancing Mediation in the Matrix, *Pepperdine Dispute Resolution Law Journal*, p. 113.
5 Mosten F., (2004). Institutionalization of mediation, *Family Court Review*, p. 292.
6 Richler J., (2011). Court-Based Mediation in Canada, *Judges' Journal*, p. 14.
7 Hyde Laurance M. Jr., (1984). Mediation, *Juvenile & Family Court Journal*, p. 57.
8 Khouri N., (2021). Mediation, *New Zealand Law Review*, p. 170.

9 Picard, Cheryl A.; Melchin, Kenneth R., (2007). Insight Mediation: A Learning-Centered Mediation Model In Practice, *Negotiation Journal*, p. 35.
10 Riskin, Leonard L., (1997). Mediation Quandries, *Florida State University Law Review*, p. 1007.
11 Fisher J., (2000). Symbol in mediation, *Mediation Quarterly*, p. 87.
12 Noll Douglas E., (2007). Mediation, Then Mediation Deeper Dimensions *Dispute Resolution Magazine*, p. 37.
13 De Vries T., (2012). The Legal Regulation of Mediation in Germany Part I: Studies: Section 2: Private Judicial Law *Acta Universitatis Lucian Blaga*, p. 209.

საძლო ფორმებს, რაც სწორედ მოქალაქეებისათვის მისაწოდებელი სერვისის სახეობად შეიძლება შეფასდეს, საერთაშორისოსამართლებრივ სივრცეებში დამკვიდრებული მიდგომების შესაბამისად, დომინირებს: სასამართლო (სავალდებულო) და სასამართლოს გარე (კერძო) მედიაცია, რომელიც ნებაყოფლობითი მედიაციის სახელწოდებითაც მოიხსენიება. ამასთან, თავის მხრივ სასამართლო მედიაცია ორგვარია: 1. სასამართლოსთან არსებული მედიაცია (Court-annexed mediation¹⁴), რომელიც ინსტიტუციურად არის კოორდინაციაში სასამართლოსთან, თუმცა, პროცედურულად აბსოლუტურად დამოუკიდებელია სასამართლოსგან, როგორც ცალკე მდგომი ინსტიტუცია.¹⁵ 2. სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაცია (Judicial mediation)¹⁶, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოსთან შენობისა და პერსონალის კუთხით. მედიაციის მსგავსი ფორმის დროს, მედიატორი შეიძლება იყოს მოქმედი მოსამართლე.¹⁷

მიმდინარე დროისათვის მედიაციის ფორმის – სასამართლოსთან არსებული მედიაციის განვითარების მიზანს საქართველოში რიგი პროგრამები ემსახურება, რასაც ვერ ვიტყვით კერძო მედიაციასთან მიმართებით. თუმცა, როგორც ალბერტ აინშტაინმა განაცხადა, ნებისმიერ სირთულეში შესაძლებელია დავინახოთ შესაძლებლობა“.¹⁸

შესაბამისად, მედიაციის საკანონმდებლო მოწესრიგებისა და სასამართლო მედიაციის პროგრამების იმპლემენტაციის კვალდაკვალ კერძო მედიაციის განვითარებისადმი ხელშეწყობა მედიაციის პრაქტიკის სრულფასოვანი განვითარებისათვის აუცილებლობას წარმოა-

დგენს. კერძო მედიაციის განვითარება მედიაციის პროფესიად ფორმირების – პროფესიონალიზაციის მანიშნებელია. ამასთან, რამეთუ მართლმსაჯულების განმახორციელებელი ერთიანი ჯაჭვის სრულყოფა წარმოადგენს საჯარო მიზანს, აუცილებლად მიიჩნევა სასამართლოსა და კერძო სექტორის შორის ურთიერთთანამშრომლობის ფორმების დანერგვა – მაგალითად ისეთის, როგორცაა საერთო პროგრამების განხორციელება. ამგვარად, სასამართლოსთან თანამშრომლობა გააძლიერებს კერძო მედიაციას – ისევე როგორც მედიაციის ინსტიტუტი აძლიერებს სასამართლოს.

ამასთან, კერძო მედიაციას განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია რიგი სუბიექტების მიმართ. მაგალითად, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებს შემდეგი უპირატესობები: შედეგის კონტროლის შესაძლებლობა; პროცესუალური საკითხების კონტროლის შესაძლებლობა; მონაწილე მხარეთა განსაზღვრის შესაძლებლობა; ფინანსური რესურსის დაზოგვა; ექსპერტის ხარჯების დაზოგვის შესაძლებლობა; დროის დაზოგვა; კონფიდენციალურობის შენარჩუნების შესაძლებლობა.¹⁹ ყოველივე აღნიშნული კერძო მედიაციის შემთხვევაში თვალსაჩინო ხასიათს ატარებს.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ კერძო მედიაციის მხარდაჭერა არ გულისხმობს მისი უპირატესობის აღიარებას დავის გადაწყვეტის სხვა საშუალებებთან მიმართებით. მოიაზრება ის, რომ ის უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფოს მასშტაბით არსებული დავის გადაწყვეტის საშუალებებიდან ერთ-ერთს, რომელსაც აგრეთვე გააჩნია საჯარო სექტორის თანადგომა და სამართლის სუბიექტებს უნდა გააჩნდეთ შესაძლებლობა, თავისუფალი არჩევანის პირობებში განსაზღვროს დავის გადაწყვეტის მათთვის მისაღები ფორმა.

მართლაც – კერძო მედიაცია ყოველთვის არ არის გამოსავალი. მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები შეზღუდულნი არიან ბიუჯეტის თვალსაზრისით, ნაკლებად სასურველია კერძო მედიაციის გამოყენება. ამ პირობებში მეტად გონივრულია სასამართლო მედიაციისათვის მიმართვა.²⁰

14 Steffek F., (2012). Mediation, in The Max Planck Encyclopedia of European Private Law, Vol. II, Basedow J., Hopt J.K., Zimmermann R., Stier A., Oxford University Press, Oxford, p. 163.

15 Lindblom P.H., (2017). Progressive Procedure, Iustus, p. 422.

16 Brunet E., (2002). Judicial mediation and signaling, Nevada law journal, p. 232.

17 Steffek F., (2013). Mediation und Güterichterverfahren, Zeitschrift für Europäisches Privatrecht, (ZEuP) #3, Verlag C.H.Beck, München, p. 538. მითითებულია: ყანდაშვილი ი., (2018). საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი, გვ. 184.

18 Prabakar R., Kripa Somi J., (2022). Mediation in Family Dispute, Indian Journal of Law and Legal Research, p. 1.

19 Lovenheim P., Guerin L., (2004). Mediate, don't litigate, Printed in the USA, p. 300-301.

20 Maas F., (2017). A Magistrate Judge's Plunge into the

2. სასამართლოსა და მედიაციის კერძო პროვაიდერების ურთიერთთანამშრომლობა, როგორც მედიაციის განვითარების წინაპირობა

აღიარებულია, რომ კერძო და საჯარო სექტორის თანამშრომლობა (PPP: Public-PrivatePartnership) არის საჯარო ამოცანების განხორციელების ერთ-ერთი ყველაზე მოქნილი ფორმა. მისი ზოგადი განმარტება გულისხმობს კერძო ფინანსების ჩართვას საჯარო ამოცანების განხორციელებაში. ამ მოდელში „საჯარო და კერძო“ სუბიექტთა წყვილები გულისხმობს თანამშრომლობას.²¹ შესაბამისად, სახელმწიფოს მასშტაბით კერძო მედიაციის განვითარების მნიშვნელობის ფაქტის გათვალისწინებით, ჩნდება კითხვა, ხომ არ იქნებოდა მიზანშეწონილი პროექტების/იმგვარი სამედიაციო პროგრამების შემუშავება, რომელთა საფუძველზეც სასამართლო და კერძოს სექტორის ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე ხელი შეეწყობოდა კერძო მედიაციის განვითარებას, რაც შედეგობრივად მოემსახურებოდა ორივე სექტორის საერთო ინტერესების განხორციელებას.

ურთიერთთანამშრომლობა ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება კერძო მედიაციის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბების და ცნობიერების ამაღლების კუთხითაც. მაგალითად, ამ მიმართულებით გასათვალისწინებელია შესაბამისი წარმატებული პრაქტიკის მაგალითებიც: მაგალითად 1992 წელს, ალბერტა ბეთერის ბიზნეს ბიუროს მიერ დაარსდა დამოუკიდებელი, კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელმაც სახელი მოიპოვა დავების გადაწყვეტის ცენტრის (Dispute Settlement centre (BBB)) სტატუსით. ცენტრი თანამშრომლობს ალბერტას პროვინციის სასამართლოსთან და მოდავე მხარეებს უფასოდ სთავაზობს დავის ალტერნატიულ გადაწყვეტას. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები დათანხმდებიან მედიაციას და იგი წარმატებით დასრულდება, ხდება სარჩელის გამოხმობა. დავის გადაწყვეტის შე-

უძლებლობის შემთხვევაში, ინიშნება საქმის სტანდარტული განხილვა სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში.²²

1987 წელს, ფლორიდის სასამართლოში ინიცირებულ იქნა პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სასამართლოს მიერ დავები განსახილველად გადაეცემოდა კერძო მედიატორებს, რომელთა ანაზღაურებასაც თავად მხარეები ფარავდნენ. პროგრამის განხორციელების შედეგად შემცირდა სასამართლოთა გადატვირთულობა, ხელი შეეწყო სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობას, ხოლო მხარეთა კმაყოფილების ხარისხი იყო არსებითად უფრო მაღალი, ვიდრე სასამართლო საქმისწარმოების შემთხვევაში.²³

თავის მხრივ, მითითებული გამოცდილება ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს სასამართლოებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების ურთიერთთანამშრომლობის შედეგიან პრაქტიკას. აღნიშნული შესაძლებელია შეფასდეს, როგორც მედიაციის სასამართლო და სასამართლოს გარე ფორმების ჰიბრიდული ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლოს როლის გაძლიერებას მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის პროცესში, აგრეთვე, სასამართლოს გარე მედიაციის პოპულარიზაციას, დავის გადაწყვეტის მშვიდობიანი გზების კულტურის დამკვიდრებასა და სასამართლოს გარდაქმნას სივრცედ, რომელიც მოქალაქეებს სთავაზობს დავის გადაწყვეტის მრავალფეროვან მექანიზმებს.²⁴

დასკვნა

ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული მსჯელობის შედეგად დგინდება, რომ საქართველოში მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის, საკანონმდებლო დონეზე რეგლამენტაციის და მისი ერთ-ერთი ფორმის – სასამართლო პროგრამების დანერგვის

21 World of Private Mediation Litigation Journal, p. 42.
ხუბუა გ., ყალიჩავა კ., (2018). ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, თბილისი, გვ.161.

22 Gold N., (1997). Prospects, Problem and Potential: An Assessment of Trends and Issues regarding Mediation in Canada, Journal of Arbitration Studies, p. 94.

23 Clarke S., Gordon H., Ellen E., (1997). Public Sponsorship of Private Settling: Court-Ordered Civil Case Mediation, Justice System Journal, p. 326-327.

24 გურიელი ა., (2019). მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები სასამართლო მედიაციის პროცესის წარმოებასთან მიმართებაში, თბილისი, გვ. 126.

პროცესის კვალდაკვალ, რელევანტურად მიიჩნევა კერძო მედიაციის განვითარების მიზნებისათვის კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა. შესაბამისი მიმართულებით პრაქტიკის სრულყოფა. ცხადია, აღნიშნული პროცესი არ უნდა ხორციელდებოდეს რომელიმე სახელმწიფოს გამოცდილების ავტომატური რეცეფციით და თითოეული სიახლე უნდა დაინერგოს მიზეზ-შედეგობრივი ანალიზის საფუძველზე. საჭიროდ მიიჩნევა სასამართლო სისტემის ჩართულობა არა მხოლოდ მედიაციის სასამართლო ფორმის, არამედ კერძო მედიაციის განვითარების პროცესშიც. ამ მიზნით – პროექტების დანერგვა და იმპლემენტაცია, რაც უნდა ეფუძნებოდეს საჯარო და კერძო სექტორის ურთიერთთანამშრომლობის პრინციპს. შედეგობრივად აღნიშნული განაპირობებს კერძო მედიაციის როლის გაძლიერებას, რაც თავის მხრივ სრულყოფს სახელმწიფოს მასშტაბით მოქმედ ერთიან ჯაჭვს. უფრო ფართო ქრილში, აღნიშნული მოიაზრებს ქართული რეალობის და მისი შესაბამისობის უზრუნველყოფას წამყვან, დემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტირებულ სამართლებრივი სისტემების სტანდარტებთან. სამართლის თითოეულ სუბიექტს ხომ უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა, თავისუფალი ნების პირობებში, საკითხის მრავალმხრივი და სრულყოფილი

შეფასების შედეგად მიიღოს გადაწყვეტილება – კონკრეტული საკითხის განხილვის ფარგლებში დავის გადაწყვეტის რომელი საშუალება იქნება უმჯობესი. სამართლის სუბიექტთა სამართლებრივი ცნობიერება უნდა ეფუძნებოდეს პრინციპს, რომ სასამართლოსადმი სასარჩელო წარმოების ფარგლებში მიმართვა უნდა განიხილებოდეს არა ძირითად, არამედ დავის გადაწყვეტის ერთ-ერთ საშუალებად. აღნიშნული, რაც მოიაზრებს საჯარო და კერძო სექტორის ერთგვარ თანამშრომლობას, ხელს შეუწყობს როგორც საჯარო – აგრეთვე კერძო ინტერესების განხორციელებას. ერთის მხრივ განიტვირთება სასამართლო სისტემა; მეორეს მხრივ, ხელი შეეწყობა კერძო მედიაციის განვითარებას; ამავდროულად შეიქმნება სამართლის სუბიექტთა რეალური ინტერესების სწრაფად და ეფექტურად დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

ამგვარად შედეგობრივი თვალსაზრისით გამოვლინდება ორგვარი ეფექტი. მედიაცია ხომ თავისი არსით ცვლის სასამართლოს და განსაზღვრავს სასამართლო სისტემაში არსებული რიგი გამოწვევების დაძლევის შესაძლებლობებს. ამასთან, თავის მხრივ, სასამართლო სისტემაც უზრუნველყოფს მედიაციის ფორმების განვითარებას საქართველოში.

ბიბლიოგრაფია:

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. <https://www.matsne.gov.ge> (In Georgian)
2. საქართველოს კანონი მედიაციის შესახებ <https://www.matsne.gov.ge> (In Georgian)

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გურიელი ა., (2019). მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები სასამართლო მედიაციის პროცესის წარმოებასთან მიმართებაში, თბილისი.
2. ყანდაშვილი ი., (2018). საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი.
3. ხუბუა გ., ყალიჩავა კ., (2018). ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, თბილისი.
4. Brunet E., (2002). Judicial mediation and signaling, Nevada law journal.
5. Clarke S., Gordon H., Ellen E., (1997). Public Sponsorship of Private Settling: Court-Ordered Civil Case Mediation, Justice System Journal.

6. De Vries T., (2012). The Legal Regulation of Mediation in Germany Part I: Studies: Section 2: Private Judicial Law Acta Universitatis Lucian Blaga.
7. Fisher J., (2000). Symbol in mediation, Mediation Quarterly.
8. Gold N., (1997). Prospects, Problem and Potential: An Assessment of Trends and Issues regarding Mediation in Canada, Journal of Arbitration Studies.
9. Hyde Laurance M. Jr., (1984). Mediation, Juvenile & Family Court Journal.
10. Hesser D., Craig C., Jarrell E., (2007). Team Mediation: An Interdisciplinary Model Balancing Mediation in the Matrix, Pepperdine Dispute Resolution Law Journal.
11. Khouri N., (2021). Mediation, New Zealand Law Review.
12. Kovach K., (2003). Mediation in a nutshell, Printed in the united states of America.
13. Lindblom P.H., (2017). Progressive Procedure, Iustus.
14. Lovenheim P., Guerin L., (2004). Mediate, don't litigate, Printed in the USA.
15. Maas F., (2017). A Magistrate Judge's Plunge into the World of Private Mediation Litigation Journal.
16. Mosten F., (2004). Institutionalization of mediation, Family Court Review.
17. Noll Douglas E., (2007). Mediation, Then Mediation Deeper Dimensions Dispute Resolution Magazin.
18. Ozturk N., (2015). Banka ve Ticaret Hukuku Dergisi.
19. Picard, Cheryl A.; Melchin, Kenneth R., (2007). Insight Mediation: A Learning-Centered Mediation Model In Practice, Negotiation Journal.
20. Prabakar R., Kripa Somi J., (2022). Mediation in Family Dispute , Indian Journal of Law and Legal Research.
21. Richler J., (2011). Court-Based Mediation in Canada, Judges' Journal.
22. Riskin, Leonard L., (1997). Mediation Quandries, Florida State University Law Review.
23. Sudini L., (2016). Mediation in the Settlement of Business Disputes in Indonesia, Journal of Law, Policy and Globalization.
24. Steffek F., (2012). Mediation, in The Max Planck Encyclopedia of European Private Law, Vol. II, Basedow J., Hopt J.K., Zimmermann R., Stier A., Oxford University Press, Oxford.
25. Steffek F., (2013). Mediation und Güterichterverfahren, Zeitschrift für Europäisches Privatrecht, (ZEuP) #3, Verlag C.H.Beck, München.